ყურადღება!

საჯარო სამართლის იურიდიული პირი ვაჟა-ფშაველას სახელობის 87-ე საჯარო სკოლა აცხადებს მოსწავლეთა მიღებას პირველ კლასში 2010-2011 სასწავლო წლისათვის.

პირველ კლასში ბავშვების ჩარიცხვის მსურველმა მშობლებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

1. განცხადება (რომელშიც აუცილებლად უნდა იყოს მითითებული, რომელი უცხო ენის შესწავლა სურთ: ინგლისური ენა, გერმანული ენა, ფრანგული ენა, რუსული ენა და ა.შ.) დირექტორის სახელზე;
2. დაბადების მოწმობის დედანი (რომელშიც აუცილებლად უნდა იყოს მითითებული ბავშვის პირადი ნომერი) და მისი ნოტარიული წესით დამოწმებული ქსერო ასლი;
3. მშობლების პირადობის მოწმობების ქსერო-ასლი;
4. ცნობა მშობელთა საქმიანობის შესახებ;
5. ორი ფოტოსურათი, ზომით 3X4;
6. იძულებით გადაადგილებული პირის - დევნილის მოწმობა და მისი ნოტარიული წესით დამოწმებული ქსერო ასლი;
7. სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის მოწმობა და მისი ნოტარიული წესით დამოწმებული ქსერო ასლი.

მსურველები სკოლაში ჩაირიცხებიან ჩამოთვლილი საბუთების წარმოდგენის შემდეგ, გასაუბრების საფუძველზე.

საბუთების მიღება იწარმოებს:

ა) 2010 წლის 17 მაისიდან 2010 წლის 05 ივნისამდე, 10^{00} საათიდან 17^{00} საათამდე, შაბათ-კვირის და უქმე დღეების გარდა. იმ მოსახლეობისათვის, რომლებიც სკოლასთან ახლოს ცხოვრობენ, ანუ შემდეგი ქუჩების მაცხოვრებლებისათვის: კობარეთი, კასპი, დოესი, საბადური, შავი ზღვა (სამხედრო ქალაქი), აწყური, შორაპანი, შირაქი, ქეთევან წამებულის გამზირი (მეტრო 300 არაგველიდან სამგორის მეტრომდე მონაკვეთი), ნავთლუღი რთველაძე, წერნაკი, უბილავა, მელაანის ქუჩები, საბარგოს დასახლება, დოლაბაურის ქუჩები, პატარძეული, ბაღდადი, საექიმოს გასასვლელი, გუჯარეთი, დოდაშვილი, ჭრელაშვილი, ცუცხვათი, ძევერი, გარე კახეთი.

ბ) ვაკანტური ადგილების დარჩენის შემთხვევაში, 2010 წლის 07 ივნისიდან 19 ივნისამდე, 10^{00} საათიდან 17^{00} საათამდე, შაბათ-კვირის და უქმე დღეების გარდა. სკოლის თანამშრომლების შვილებისა და შვილიშვილებისა; სკოლაში სხვადასხვა კლასებში მყოფი მოსწავლეების და-ძმებისათვის; სკოლასთან ახლოს (ტერიტორიული ნიშნით) მომუშავე მოქალაქეების შვილებისათვის, რომლებიც ვერ შედიან ”ა“ პუნქტში მითითებულ მოქალაქეებში.

გ) ვაკანტური ადგილების დარჩენის შემთხვევაში, 2010 წლის 21 ივნისიდან 28 ივნისამდე, 9^{00} საათიდან 16^{00} საათამდე, შაბათ-კვირის და უქმე დღეების გარდა, ყველა იმ მსურველისთვის, რომლებიც არ შედიან ”ა“ და ”ბ“პუნქტებში.

შენიშვნა:

1. ჩარიცხულ მოსწავლეთა კლასების მიხედვით განაწილება მოხდება ფარული კენჭისყრით 2010 წლის 27 აგვისტოს, 10^{00} საათზე, მშობლების თანდასწრებით. კენჭისყრის ”კენჭის“ პირველად ამოღების უპირატესობით ისარგებლებს ის მშობელი, რომელსაც ადრე აქვს შემოტანილი საბუთები.
2. დაკომპლექტებულ კლასში პედაგოგების განაწილება მოხდება პედაგოგებს შორის ფარული კენჭისყრის პრინციპით 2010 წლის 27 აგვისტოს 15^{00} საათზე.
3. 2010-2011 სასწავლო წლისათვის პირველ კლასში მისაღები კონტიგენტი შეადგენს 125 მოსწავლეს.